შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

2019 წლის ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2019 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი, რაც ითვალისწინებდა პროგრამებისა და სასწავლო კურსების შეფასებას, ტექნიკურ ექსპერტიზასა და ხარვეზების დადგენის შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო როგორც ბეჭდური, ასევე, ციფრული ერთეულისგან. ფონდის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოს და შეესაბამება პროგრამებისა და სილაბუსებით გათვალისწინებულ სახელმძღვანელო რესურსებს.

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია - გადაწყვეტილება N129, 13.06. 2019 (7 წლით)

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია - გადაწყვეტილება N181, 19.09.2019 (7 წლით)

თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
3. University of lodz, Poland
4. University Cillege of Tourism and Ecology
5. შპს ფანი თრეველ ჯორჯია
6. სასტუმრო ჯორჯიან ჰოლიდეი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“ გამოიცემა 2017 წლიდან. 2019 წლიდან ჟურნალის სტრუქტურა თვისობრივად შეიცვალა, იგი გახდა მრავალპროფილური. 2019 წელს გამოიცა ჟურნალის მე-2 ნომერი. ჟურნალში ძირითადად იბეჭდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტურის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომები. პუბლიკაციებს აფინანსებს უნივერსიტეტი, რაც მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა ავტორებისათვის და ამავე დროს, ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას უნივერსიტეტში.

2019 წლის 16 აპრილს საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? თამაში მიმდინარეობდა 3 ეტაპად, პირველ ადგილზე გავიდა ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის გუნდი " Brain Drain"-ი. 2019 წლის

24 მაისს, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტებმა, ტურიზმის გეოგრაფიის ლექტორთან, მოწვეულ პროფესორთან მაკა ფირანაშვილთან ერთად დაგეგმეს და განახორციელეს სასწავლო-შემეცნებითი ტური ეთნოგრაფიულ მუზეუმში. სასწავლო-შემეცნებითი ტური მიზნად ისახავდა საქართველოს გეოგრაფიული მრავალფეროვნების დახასიათებას, ტურისტულრეკრეაციული რესურსების გაცნობას და საქართველოს ეთნოკულტურის შესწავლას. 2019 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? თამაში მიმდინარეობდა 3 ეტაპად, პირველ ადგილზე გავიდა ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის გუნდი " არვიცი"-ი. 2019 წლის 11 ნოემბერს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ორგანიზებით დაიდგა და ფართო საზოგადოებას წარედგინა ლაშა თაბუკაშვილის პიესის მიხედვით სპექტაკლი „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“. 2019 წლის 25 ნოემბერს სდასუ-ში პოეზიისა და მუსიკის ინტეგრირებული საღამო გაიმართა. ღონისძიება ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ორგანიზებით ჩატარდა.

ტარდება სწავლის შედეგების ანალიზი, რომელიც ეცნობება პროგრამის ხელმძღვანელებს და ხდება პრობლემებზე რეაგირება

თამარ ჩაჩანიძე - გაიარა ERASMUS+PRINTEL პროექტის ფარგლებში ორგანიზებული ინოვაციური პედაგოგიკის ტრეინინგკურსი „აქტიური სწავლება საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით“.

ბიზნესისა და სოპციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორმასწავლებლებმა მოისმინეს ტრეინინგი თემაზე: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლების სფეროების კლასიფიკატორი.

2019 წლის 31 მაისს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა XXVI სამეცნიერო კონფერენცია.

2019 წლის 5 აპრილს ევროპული ენების ინსტიტუტმა (ELI) საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში პროგრამები წარადგინა. „სწავლა, კვლევა და პრაქტიკა გერმანიაში“ პრეზენტაციას უძღვებოდა ევროპული ენების ინსტიტუტის საერთაშორისო პროფესიული განათლების პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი თეა ფეტელავა, პრეზენტაციას ესწრებოდა: ევროპული ენების ინსტიტუტის პრეზიდენტი ჰარალდ ქრისტიან ჰორნუნგი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების აკადემიური დეპარტამენტისა და ენების ცენტრის დირექტორი, პროფესორი ნინო აბრალავა, სდასუს პროფესორი ვახტანგ ანთია.

გადაცემა მკითხველთა კლუბი წამყვანი - ხატია შევარდნაძე სტუმარი - ნანა ცინცაძე https://www.youtube.com/watch?v=zo6_iLlzSEA&feature=youtu.be&fbclid=IwAR2gm8KG0bnL0eN3PckTjYBv-HQexuKbj9dzIYrDzbTI0CDVRVCvLvstXWc გადაცემა საზოგადოებრივ პოლიტიკური ასპექტები წამყვანი - მარიამ შამილაძე სტუმრები - ზურაბ ქარჩავა, შალვა ყიფშიძე https://www.youtube.com/watch?v=kC1s7PWQd98&feature=share

მდგრადი განვითარების მიზნები წამყვანი - ლიკა თორთლაძე სტუმარი - დავით კბილაძე https://www.youtube.com/watch?v=EZN5BChrpcc&feature=youtu.be&fbclid=IwAR1e8BbxFzNywDujaXpwEWfXFQC5C3wkBwsx-xhi1bgApjeaKa8AbsmBF0

29 მარტს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შოთა რუსთაველის ფონდის ორგანიზებით ჩატარდა სამეცნიერო ფორუმი - მეცნიერების განვითარების პერსპექტივები საქართველოში, სადაც მონაწილეობა მიიღო ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა ქეთევან ნანობაშვილმა.

20 მარტს, სდასუში კიბერუსაფრთხოების საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის - CYSEC დამფუძნებელმა ანდრო გოცირიძემ საჯარო ლექცია ჩაატარა თემაზე: „კიბერსივრცე - სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ახალი განზომილება“.

21 სექტემბერს, მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2019- ის ფარგლებში საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი: „ეკონომიკური განუსაზღვრელობის შეფასების და მართვის ძირითადი ბერკეტები საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნებისთვის“. ფასილიტატორი დავით კბილაძე, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი.

16 აპრილს საქართველოს გასტრონომიის ასოციაციის პრეზიდენტმა დალი ცატავამ სდასუში ჩაატარა საჯარო ლექცია - გასტრონომიული ტურიზმი.

13 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილის პროფესორმა გია ჟორჟოლიანმა და ასოცირებულმა პროფესორმა ეკა ლეკაშვილმა გამართეს სემინარი ერიკ ს. რეინერტის წიგნზე როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად

8 ნოემბერს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა აკადემიური პერსონალის შეხვედრა „McGraw Hill Education“-ის საქართველოს წარმომადგენელთან - ერდენერ ბარანთან. დამსწე საზოგადოება გაეცნო სწავლების თანამედროვე პლატფორმას -„ McGraw Hill Education Connect “, მის შესაძლებლობებს და უნივერსიტეტის სასწავლო კურსების აღნიშნულ პლატფორმაში ინტეგრაციის პერსპექტივებს.